თავი V

ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 12. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები (ქვეპროგრამები) შემდეგი რედაქციით:

1. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება

აჭარის ავტონონომიური რესპუბლიკისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძლიერი წარმომადგენლობითი ორგანოს გამართული ფუნქციონირება, ვინაიდან იგი არის რეგიონის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განმსაზღვრელი, საკანონმდებლო და მაკონტროლებელი ფუნქციების მქონე ხელისუფლების შტო.

1.1. საკანონმდებლო საქმიანობა

კომპეტენციის ფარგლებში საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელება, კონტროლი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობაზე.

საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

2. საარჩევნო გარემოს განვითარება

აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების, კონსტიტუციითა და საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით ვადებში დაგეგმვა და გამართვა. არჩევნების სამართლებრივი, ორგანიზაციული, ფინანსური და ტექნიკური უზრუნველყოფა. საარჩევნო კამპანიის წარმართვა დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნების ჩატარების მიზნით.

2.1. საარჩევნო სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება

საარჩევნო მიზნებისათვის პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი საარჩევნო სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესების, მასში თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინების, საარჩევნო ადმინისტრაციის ფუნქციონირებისა და საარჩევნო პროცესის მუდმივი სრულყოფის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.

2.2. არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა

საარჩევნო ინსტიტუციის, სამოქალაქო განათლების და საარჩევნო რეფორმების ხელშეწყობა. საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის ეფექტურობა, ამომრჩეველთა

საარჩევნო უფლებების დაცვა და უზრუნველყოფა, ამომრჩეველთა აქტივობის ამაღლება, არჩევნების საჯაროობის უზრუნველყოფა.

3. აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა

რეგიონის ინსტიტუციური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია აღმასრულებელი ორგანოს გამართული ფუნქციონირება.

3.1. მთავრობის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების პირობების შექმნა;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაციისა და კონტროლის განხორციელება;

მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული, სამართლებრივი და ინფორმაციულ-ანალიტიკური უზრუნველყოფა;

მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის განხორციელება. მთავრობის თავმჯდომარის თანამშრომლობის ხელშეწყობა სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის დაწესებულებებთან.

4. რეგიონის ფინანსური რესურსების მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა

ეფექტიანი და გამჭვირვალე საბიუჯეტო პროცესის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების მოქნილ მართვას, სექტორში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სისტემის ჩამოყალიბებას, აგრეთვე სახელმწიფო სახსრების ეკონომიურ და ეფექტიანად ხარჯვაზე მონიტორინგს. ელექტრონული ხაზინის ძირითადი ექსპლუატაცია. რეგიონში ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნით წინადადებების შემუშავება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების გამჭვირვალედ და ეფექტიანად მართვა, მისი სრულყოფილად აღრიცხვა, მოვლა-პატრონობა და პრივატიზაცია. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საზოგადოებების მართვა. რეგიონის, მუნიციპალიტეტებისა და დასახლებების სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების ხელშეწყობა, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა. დამწყები და განვითარებადი ბიზნესის ხელშეწყობა. ბიზნეს ინტერესების დაცვა და ექსპორტის ხელშეწყობა. საფრთხის შემცველი ობიექტების მონიტორინგი და მართვა.

4.1. ფინანსების, ეკონომიკური პოლიტიკისა და ქონების სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საფინანსო სისტემის მართვა და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის რეგულირება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსების უზრუნველყოფა.

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდის მიზნით ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად შემუშავება და წარმართვა.

ავტონომიურ რესპუბლიკაში სამშენებლო საქმიანობის პოლიტიკის განხორციელება; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების დოკუმენტების შემუშავების პროცესის წარმართვა.

4.2. რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა

რეგიონის საინვესტიციო-საპრივატიზაციო პროცესის სრულყოფა;
რეგიონის, როგორც საინვესტიციოდ მიმზიდველი ადგილის ცნობადობის ამაღლება;

ქონების მართვისა და პრივატიზების პროცესის ეფექტური ადმინისტრირება.

4.2.1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების მართვა

ელექტრონული აუქციონების განცხადების განთავსებისა და ვაჭრობის პროცესის უზრუნველყოფის მომსახურების შეძენა; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების დაცვის მიზნით დარაჯების (ყარაულები) დროებით სამუშაოზე აყვანა; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების სხვადასხვა ორგანიზაციებისგან დაცვითი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა; სახელმწიფო ქონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების საბაზრო ღირებულებისა და საიჯარო ღირებულების დადგენა; სახელმწიფო ქონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მოვლა-პატრონობა და შენახვა.

4.2.2. რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საინვესტიციო პოტენციალის ცნობადობის გაზრდა.

რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის შესახებ საპრომოუშენო მასალების მომზადება;

რეგიონის შიგნით და გარეთ საინვესტიციო შეხვედრების და ღონისძიებების ორგანიზება, მონაწილეობის უზრუნველყოფა და რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის წარმოჩენა.

4.3. ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიების ურბანული განვითარების ხელშეწყობა;

მთის კურორტებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა.

4.3.1. სივრცითი მოწყობის, დასახლებათა დაგეგმვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის გარდა) ტერიტორიებზე შემუშავებული ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების სისტემური რევიზია, განახლება და განხორციელებაზე მონიტორინგი, თემატური ვებ-გვერდის მართვა.

4.3.2. აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარება

აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარება, მათი პოპულარიზაციის გაზრდა, საინვესტიციო გარემოს შექმნაზე ხელშეწყობა, მთის რეგიონის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

4.3.3. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა

აჭარის რეგიონში ახალი ტურისტული დანიშნულების ადგილების განვითარების ხელშეწყობა.

4.4. სახაზინო მომსახურება

ელექტრონული ხაზინის ძირითადი ექსპლუატაცია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის აღსრულება, მისი შემოსულობების და გადასახდელების ზუსტი და ოპერატიული აღრიცხვა.

ბიუჯეტის ოპერატიული, ყოველთვიური, ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადება.

4.5. დამწყები და განვითარებადი ბიზნესის ხელშეწყობა

ინკუბირებული კომპანიების საქმიანობის ხელშეწყობა-მონიტორინგი და ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო სერვისების და რესურსების მიწოდება.

4.6. ბიზნეს ინტერესების დაცვა და ექსპორტის ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრების ინტერესების დაცვა ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებაში.
სერვისების დახვეწა, ბიზნესმენებისა და ინვესტორების საქმიანობისათვის ხელშეწყობა.
მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ბიზნეს ასოციაციების გაძლიერება და პალატის რესურსების მობილიზება ამ მიზნების მისაღწევად, ბიზნესში ქალთა ჩართულობის მნიშვნელობის გაზრდა.
აჭარის რეგიონის ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება.

4.7. საფრთხის შემცველი ობიექტებისათვის მომსახურების მიწოდება და მართვა

საფრთხის შემცველი ობიექტების ტექნიკური დიაგნოსტირების ჩატარება, სამშენებლო მასალებსა და პროდუქციაზე გამოცდების ჩატარება.

მზა ბეტონის სიმტკიცის განსაზღვრა კუმშვაზე, ბეტონის საკედლე ქვების, სიმტკიცის განსაზღვრა კუმშვაზე, არამადნეული მასალების, მოსაპირკეთებელი და საგზაო მასალების ხარისხის შემოწმება; არმირების პარამეტრების და არმატურის კოროზიის ხარისხის დადგენა ურღვევი

მეთოდით, საავტომობილო გზების ასფალტისა და ასფალბეტონის საფარის გეომეტრიული პარამეტების დადგენა და მისი სიმტკიცის მახასიათებლების განსაზღვრა ურღვევი მეთოდით, ფიზიკურ–მექანიკური თვისებების დადგენა კერნის ამოღებით და მისი ლაბორატორიაში შემდგომი დამუშავებით. მიწისა და შენობა–ნაგებობების აზომვითი ნახაზების შედგენა და საბაგირო გზის ბაგირის შემოწმება.

5. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სტრატეგიული გეგმის მიხედვით, დეპარტამენტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაა, რაც გულისხმობს ტურიზმისა და კურორტების სფეროში ეფექტური პოლიტიკის გატარებას და რეგიონის ტურიზმისა და კურორტების განვითარების ხელშეწყობას, რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების გამოვლენას, ტურისტული პროდუქტების გამრავალფეროვნებას და რეგიონის ცნობადობის გაზრდას საერთაშორისო და შიდა ბაზარზე, ურთიერთთანამშრომლობითა და ინოვატორული ინიციატივებით პარტნიორებისა და დაინტერესებული პირების დახმარებას ხარისხის სტანდარტის ამაღლებაში.

5.1. ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ტურიზმისა და კურორტების სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარება და დარგის საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღება.

ქვეყანაში ტურიზმისა და კურორტების სფეროს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;

ტურიზმისა და კურორტების სფეროებში განსახორციელებელი პროგრამების შესრულების კოორდინაცია და მართვა.

რეგიონში დარგის განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო მონაცემების მოგროვება და ანალიზი.

5.1.1. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მართვა

ქვეყანაში ტურიზმისა და კურორტების სფეროს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;

ტურიზმისა და კურორტების სფეროებში განსახორციელებელი პროგრამების შესრულების კოორდინაცია და მართვა.

5.1.2. დარგის საჭიროებებისა და განვითარების პოტენციალის კვლევა და სტატისტიკის წარმოება

რეგიონში დარგის განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო მონაცემების მოგროვება და ანალიზი.

ადგილობრივი ტურისტული ბაზრის კვლევა, უცხოელ ტურისტთა ბაზრის კვლევა, ტურისტების ვიზიტის აღწერა, მათი კმაყოფილების დონისა და მოთხოვნების კვლევა; სტატისტიკური ანალიზი.

5.2. აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე

რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის ცნობადობის ამაღლება;

რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ბაზარზე;

5.2.1. რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის მარკეტინგი საერთაშორისო ბაზრებზე

საერთაშორისო ბაზარზე რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის მარკეტინგი და რეკლამირება;

მიზნობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე (აზერბაიჯანი, არაბთა გაერთიანებულ საამიროები, გერმანია, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, სკანდინავიის ქვეყნები, ესტონეთი, თურქეთი, ისრაელი, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი, საუდის არაბეთი, საფრანგეთი, სომხეთი, უკრაინა, უნგრეთი, ფინეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, ჩეხეთი, ავსტრია, შვეიცარია, ამერიკა, აზიის ქვეყნები და სხვა) სარეკლამო და პიარ კამპანიების წარმოება სატელევიზიო რეკლამის, ინტერნეტ რეკლამის, ბეჭდური მედიის, გარე რეკლამისა და სხვა სარეკლამო საშუალებების გამოყენებით; საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში, კონფერენციებში, სემინარებში, ფორუმებში, ფესტივალებში, ღონისძიებებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა, ასევე აჭარის რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების წარმოჩენის მიზნით საზღვარგარეთის ქვეყნებში პრეზენტაციების, სამუშაო შეხვედრების და სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზება რეგიონის პოპულარიზაციის და ცნობადობის გაზრდის მიზნით. ასევე, სარეკლამო-საინფორმაციო და საპრომოციო მასალების გავრცელება, სარეკლამო-საინფორმაციო, გაცნობითი და გამოცდილების გაზიარებითი ტურების ორგანიზება საზღვარგარეთის ქვეყნებიდან.

5.2.2. რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება ქვეყნის შიგნით

შიდა მომხმარებლებზე გათვლილი მარკეტინგული და სარეკლამო კამპანიის წარმოება;

შიდა ტურიზმის წახალისების მიზნით სარეკლამო-საინფორმაციო და გაცნობითი ტურების ორგანიზება;

სხვადასხვა სარეკლამო საშუალებით რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება და ტურიზმის სტუმულირება ქვეყნის შიდა ბაზარზე; სხვადასხვა ღონისძიების, წარმოდგენის, შოუების, ინსტალაციების, ფესტივალევის და სხვა პიარ-აქტივობების ორგანიზება შიდა ტურიზმის სტუმულირების, ტურისტული პრუდუქტების პოპულარიზაციისა და მოგზაურობის წახალისების მიზნით.

5.2.3. რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისათვის საჭირო მასალების დამზადება

სარეკლამო-საინფორმაციო პროდუქციის მომზადება და გავრცელება.

5.3. ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარება

რეგიონის ტურისტული პროდუქტების განვითარება და მომსახურების ხარისხის ამაღლება.

რეგიონში არსებული ტურისტული პროდუქტების განვითარება და ახალი პროდუქტების შექმნა.

ტურიზმის დარგში დასაქმებულთა კვალიფიკაციის განვითარება და ტურიზმის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

ტურისტული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;

სრულყოფილი ინფორმაციითა და ხარისხიანი მომსახურებით ტურისტების უზრუნველყოფა.

5.3.1. სრულყოფილი ინფორმაციითა და ხარისხიანი მომსახურებით ტურისტების უზრუნველყოფა.

ტურისტული საინფორმაციო ცენტრების თანამშრომლების გადამზადება;

ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;

ტურისტულ-საინფორმაციო ცენტრების მოდერნიზაცია-განახლება;

სოფლის ტურიზმის თემატიკის საერთაშორისო გამოფენებში, კონფერენციებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

5.3.2. ტურისტული პროდუქტების განვითარება და დივერსიფიკაცია.

არსებული ტურისტული პროდუქტების განვითარება და ახალი პროდუქტების შექმნა.

სხვადასხვა სეზონური ღონისძიებების (კონფერენციების, ფესტივალების) ორგანიზება.

ახალი ტურისტული მარშრუტების იდენტიფიცირება და მათი მარკირება; ტურისტული ინფრასტრუქტურის პროექტირება და მოწყობა-მშენებლობა, ტურისტული მასალების ბეჭდვა; გაცნობითი-სარეკლამო ტურების და აქტივობების ორგანიზება.

5.3.3. ტურიზმის დარგში სერვისის განვითარების ხელშეწყობა.

რეგიონის ტურიზმის დარგის წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობით დარგში დასაქმებულთა კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების მხრივ არსებული საჭიროებებისთვის მიზანმიმართული ტრენინგების დაგეგმვა და განხორციელება.

ტურისტულ ობიექტებში მომსახურების ხარისხის რეგულარული მონიტორინგი და შეფასება.

ღონისძიებების, მასტერკლასების, ექსპედიციების და სხვადასხვა აქტივობის ორგანიზება მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით.

საინფორმაციო ბროშურის შექმნა-დამზადება, ვიდეო გაკვეთილების დამზადება მომსახურების ხარისხის ამაღლებისათვის.

ტურიზმის ინდუსტიაში წლის საუკეთესო სერვისების მიმწოდებელი ობიექტების დაჯილდოება.

5.4. რეკრეაციული ადგილების მოვლა-შენახვა

მოსახლეობისა და დამსვენებელთა გაჯანსაღების, დასვენების ეფექტური პირობების უზრუნველყოფისათვის საკურორტო ინფრასტრუქტურის შემდგომი გაფართოება. ბულვარის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება. დასვენებისა და ტურიზმის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პირობების შექმნა.

5.5. მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა

აჭარის რეგიონში მცირე და საშუალო ტურისტული ობიექტების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და ტურისტული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ბანკების მიერ სესხების გაცემა.

კომერციული ბანკები საკრედიტო რისკების გათვალისწინებით მოახდენს ტურისტული ბიზნესით დაკავებული მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტების დაფინანსებას. ტურისტულ ბიზნესად ჩაითვლება საქმიანობა, რომელიც უკავშირდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში საზოგადოებრივი კვების ობიექტის (კაფე, რესტორანი, ბისტრო, ბარი, სასადილო და სხვა), სასტუმროს (არაუმეტეს 50 ნომრიანი, მ.შ. საოჯახო ტიპის), გასართობი ობიექტის (ღამის კლუბი, დისკოთეკა, საბილიარდო, ბუნგალო და სხვა) მოწყობას (მშენებლობა, რეკონსტრუქცია, რემონტი) და სხვა ტურისტულ საქმიანობას. სესხის ხელშეკრულების შესაბამისად სესხის საპროცენტო განაკვეთის არაუმეტეს 12%-ი სამი წლის განმავლობაში ანაზღაურდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ.

6. ინფრასტრუქტურის განვითარება

აჭარის ტერიტორიები გამოირჩევა სხვადასხვა ტიპის ურბანული განვითარებით. რეგიონი ხასიათდება როგორც შავი ზღვის სანაპირო ზოლის, ასევე შიგამთიანი და მაღალმთიანი ლანდშაფტითა და შესაბამისი ხასიათის დასახლებებით.

რეგიონის მდგრადი და ჰარმონიული განვითარების უზრუნველსაყოფად ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს გამართული ინფრასტრუქტურის შექმნა, მოვლა და მისი განვითარება. გამართული საგზაო, საინჟინრო-კომუნალური და ენერგოუზრუნველყოფის ინფრასტრუქტურის შექმნისადმი ხელშეწყობა დარგში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

2005 წლიდან დღემდე ჩვენს რეგიონში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საავტომობილო გზების ნუსხიდან არა ერთ საავტომობილო გზას ჩაუტარდა რეაბილიტაცია, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს ბევრი საავტომობილო გზა, რომელიც საჭიროებს აუცილებელ სარეაბილიტაციო ღონისძიებებს. შესაბამისად, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნებისა და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით საჭიროა გზების კეთილმოწყობა, საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა, მოძრაობის ორგანიზაციის გაუმჯობესება, რაც საზოგადოებისათვის ეკონომიკური აქტივობების გაზრდისა და მოსახლეობის კეთილდღეობის წინაპირობაა.

6.1. საავტომობილო გზების მართვა

საავტომობილო გზების სისტემების ფუნქციონირების ორგანიზება, მართვა, ტექნიკური ზედამხედველობა და კონტროლი.

6.2. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა

ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, საგზაო კომუნიკაციების და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა, მოდერნიზაცია, განვითარება. გენდერული ასპექტების გათვალისწინებით თანაბარხელმისაწვდომი საგზაო ინფრასტრუქტურის შექმნა.

6.2.1. გზების რეაბილიტაცია

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საავტომობილო გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებითა და ინტერესების დაცვით გზებზე უსაფრთხოების ნორმების დაცვის უზრუნველყოფა, საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა.

გენდერული ასპექტების გათვალისწინებით თანაბარი შესაძლებლობის პრინციპის დაცვა, ქვეპროგრამის დაგეგმვის პროცესში ქალებისა და კაცების თანაბარუფლებიანი ჩართულობა, თანაბარხელმისაწვდომი საგზაო ინფრასტრუქტურის შექმნა.

6.2.2. ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია

ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენენებლობა-რეაბილიტაცია.

6.2.3. საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფა.

6.3. საინჟინრო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადაუჭრელი საინჟინრო და კომუნალური ინფრასრუქტურის პროექტების განხორციელება, რომელთა მიმართ არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და რომელთა გადაწყვეტა უზრუნველყოფს ურბანული, ინფრასტრუქტურული და სოციალური საკითხების მოგვარებას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მაღალმთიანი დასახლებების გაზიფიკაცია. შუახევი (ხიჭაურის დასახლება) - გოდერძის უღელტეხილის მონაკვეთზე საშუალოწნევიანი გაზსადენის მშენებლობის დასრულება.

7 . ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროს ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დებულების, დასახული პრიორიტეტისა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების მშენებლობა/რეაბილიტაციას და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით ატარებს კონკურსებსა და ოლიმპიადებს, მონაწილეობს ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში, აფინანსებს სტუდენტებს, ხელს უწყობს ახალ მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული განათლების ფორმირებას,

სახელოვნებო განათლებას, სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებას. ახორციელებს კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს, რაც მიზნად ისახავს რეგიონში კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობას და გაუმჯობესებას.

7.1. განათლების მართვა, კულტურისა და სპორტის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება მიზნად ისახავს გამოავლინოს განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროებში გამოწვევები და მათზე რეაგირებისთვის დასახოს პრიორიტეტები და განახორციელოს ის ღონისძიებები, რომლებიც დაეხმარება და ხელს შეუწყობს მათ განვითარებას და პოპულარიზაციას.

7.2. განათლების ხელშეწყობა და ხარისხის გაუმჯობესება

განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში ხელშეწყობა.

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში კონტროლი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების, სტანდარტების და სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების შესრულებაზე მის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

საინფორმაციო ბანკის შექმნა სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ-საგანმანათლებლო, სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების შესახებ;

ხელშეწყობა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებისა და პროგრამების, მათ შორის, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტისა და პროგრამის პილოტირებას, დანერგვასა და მონიტორინგს;

7.3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ინვენტარით აღჭურვა და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა ხელს შეუწყობს სამუშაო და სასწავლო პირობების გაუმჯობესებას, უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნას ზოგადი განათლების მიღებასა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის ამაღლებას.

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ინვენტარით აღჭურვა, რაც დღემდე ეტაპობრივად ხორციელდება.

საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

7.3.1. საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

საჯარო სკოლებში სამუშაო და სასწავლო პირობების გაუმჯობესება და მოსწავლეებისათვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა.

36 საჯარო სკოლის შენობის/სპორტული დარბაზის მშენებლობა, 90 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, 65 საჯარო სკოლის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

7.3.2. საჯარო სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული 20 საჯარო სკოლა აღიჭურვება სასკოლო ინვენტარით, 20 სკოლა აჭარაში აღიჭურვება ტექნოლოგიებით, არანაკლებ 10 სკოლა აღიჭურვება სასკოლო ლაბორატორიით, 30 საჯარო სკოლა მიიღებს სპორტულ ინვენტარს (ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის კომპლექტი, ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის აღჭურვილობა, სხვ.) საჭიროების მიხედვით, 5 სკოლა აღიჭურვება მუსიკალური ინსტრუმენტებით (პიანინო, გიტარა, დასარტყამი და სასულე ინსტრუმენტები და სხვ,), რემოდელირებული იქნება 4 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა და შეძენილი იქნება 6 პროექტი, განხორციელდება 9 საჯარო სკოლის სახელოვნებო სივრცეების რემოდელირება/აღჭურვა და დაწყებული იქნება 6 საჯარო სკოლის სახელოვნებო სივრცის რემოდელირება/აღჭურვა.

7.3.3. საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა

საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობის გაზრდა. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის (განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში) და მოსწავლეთა უსაფრთხოდ გადაადგილების პრობლემებმა (დიდი მანძილი, ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ, ტყიანი ადგილები სოფლებს შორის, სადაც გარეული ცხოველების საშიშროებაა, მდინარეებზე გადასასვლელები და ა.შ.) წარმოშვა მათი საცხოვრებელი ადგილიდან სკოლამდე ტრანსპორტით გადაადგილების საჭიროება.

ამასთან, აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსწავლეები, რომელთაც აღენიშნებათ განვითარების შეფერხება, სენსორული, ქცევისა და ემოციური დარღვევები, საჭიროებენ ტრანსპორტირებას თბილისის და ქუთაისის შესაბამის სკოლებში (სკოლა-პანსიონი), რომლებიც ახორციელებენ სპეციალურ პროგრამებს ყრუ და სმენადაქვეითებული მოსწავლეებისათვის.

7.4. აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ოთხ უმაღლეს სასწავლებელზე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელშეწყობა, უმაღლესი პროფესიული, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

7.5. საჯარო სკოლების საპანსიონო მომსახურება, გაძლიერებული (ფიზიკა-მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში სახელმწიფოს პრიორიტეტია საპანსიონო მომსახურების დაწესებულებების ბენეფიციარი მოსწავლეების დაბრუნება ბიოლოგიურ ოჯახებში, ან განთავსება ალტერნატიულ ოჯახურ გარემოსთან მიახლოვებულ სერვისებში (საოჯახო ტიპის სახლები) და აქცენტი აღებულია გაძლიერებული სწავლების დანერგვაზე, შესაბამისად გარდამავალ ეტაპზე შეჩერდა პანსიონებში მოსწავლეთა მიღება.

ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული, ინტენსიური შესწავლა თანამედროვე, საერთაშორისო დონეზე აპრობირებული მეთოდებით.

ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობის გამო სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად შესაბამისი პირობების შექმნა.

7.6. ზოგადი განათლება

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, სწავლის ხარისხის ამაღლება და განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა.

მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში მასწავლებელთა დეფიციტის აღმოფხვრა და ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

სწავლისა და სწავლების მოტივაციის ამაღლება.

7.6.1. ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებისათვის კონკურსის წესით შეირჩევა და დასაქმდება არაუმეტეს 30 მასწავლებელი.

წარმატებული მასწავლებლების წახალისება.

მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში, კერძოდ, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში პედაგოგების სასტუმროთი უზრუნველყოფა და ტექნიკური მხარდაჭერა, ცალკეული საგნების გაძლიერებული სწავლების უზრუნველყოფის მიზნით.

დაფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მოქმედ საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების 15 პედაგოგის კვალიფიკაციის ამაღლება/სტაჟირება საერთაშორისო ღონისძიებებში.

161 მასწავლებელი მხარდაჭერილია ინივაციური პროექტების განხორციელებაში.

7.6.2. კონკურსები და ოლიმპიადები

განათლების ხარისხის ამაღლება. მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის გაზრდა.

სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნება, სასკოლო კლუბების განვითარების ხელშეწყობა, სასკოლო ბიბლიოთეკების განვითარება, მოსწავლეების ჩართულობა სხვადასხვა სასკოლო აქტივობებში - ოლიმპიადები, კონკურსები, ლიტერატურული მარათონი და სხვ. და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება. საგანმანათლებლო/შემეცნებითი ღონისძიებების დაფინანსება საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ორგანიზებულია 10 საზაფხულო სკოლა.

7.7. უწყვეტი განათლება

ქართული (ქართული ენის არმცოდნე მოქალაქეებისათვის), აფხაზური და უცხო ენების, TOEFL-ის გამოცდისათვის მოსამზადებელი კურსების, კომპიუტერული უნარ ჩვევების შესწავლა, ასევე

უსინათლოთათვის და შშმ პირთათვის კომპიუტერული უნარ ჩვევების და ინგლისური ენის შესწავლა; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო და კერძო სკოლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება; ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა; ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების სწავლება; სკოლის ადმინისტრაციისა და პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, ტრენერთა კვალიფიკაციის ამაღლება, სკოლამდელი აღზრდის მასწავლებელთა გადამზადება.

7.8. პროფესიული და უმაღლესი განათლება

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, სწავლის ხარისხის ამაღლება და განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა.

უმაღლესი განათლება ხელმისაწვდომია სოციალურად დაუცველ, ობოლ, მრავალშვილიან ოჯახთა და მაღალმთიანი რეგიონის ბენეფიციართათვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, იმ პირისათვის, რომელსაც ან რომლის მშობელსაც მინიჭებული აქვს მარტოხელა მშობლის სტატუსი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად ზომიერად/მკვეთრად/ მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანისათვია ან მისი შვილისთვის, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირისათვის.

სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა/ღონისძიებების ორგანიზების ხელშეწყობა.

ახალგაზრდა მეცნიერების მხარდაჭერისთვის დახმარება გაიცემა საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებისა და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

განათლება ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მიმართულებებზე ხელმისაწვდომია სოციალურად დაუცველ, ობოლ, მრავალშვილიან ოჯახთა და მაღალმთიანი რეგიონის ბენეფიციართათვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, იმ პირისათვის, რომელსაც და რომლის მშობელსაც მინიჭებული აქვს მარტოხელა მშობლის სტატუსი, ვერცხლის ან ოქროს მედალოსანი პირებისათვის.

ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცემა სტუდენტებზე, რომლებიც სწავლობენ საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ქართველოლოგიის მიმართულებით.

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა საზღვარგარეთ.

სტაჟიორების გაგზავნა/მიღება პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

7.8.1. სტუდენტთა დახმარება

დაფინანსდება სხვადასხვა კატეგორიის საშუალოდ 1 339 სტუდენტის სწავლა.

მხარდაჭერილია საშუალოდ 360 50%-70%-100% გრანტის მფლობელი პირველი კურსის სტუდენტი.

7.8.2. უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

მოეწყობა საშუალოდ 7 კონფერენცია, დაფინანსდება საშუალოდ სამეცნიერო ღონისძიებაში 10 ბენეფიციარის მონაწილეობა, საშუალოდ 3 სეზონური სკოლა, ითარგმნება/დაიბეჭდება საშუალოდ 5 უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა, მოეწყობა საერთაშორისო კონფერენცია - ადრეული განათლება და ზრუნვა, ჩატარდება სტუდენტური ფორუმი;

7.8.3. ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მიმართულებების ხელშეწყობა

დაფინანსდება ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მიმართულების საშუალოდ 60 ბენეფიციარი.

7.8.4. სწავლა საზღვარგარეთ

უმაღლესი განათლების ხელშეწყობა.

სტუდენტებზე, რომლებიც სწავლობენ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გაერთიანებული სამეფოს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, იაპონიაში, შვეიცარიასა და ნორვეგიაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მეორე/მესამე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე პირს, რომელიც ჩაირიცხება პოსტ საბაკალავრო/პოსტ სამაგისტრო სახელოვნებო პროგრამაზე. საშუალოდ 97 დაფინანსება გაიცემა საზღვარგარეთ სწავლის მიზნით.

7.8.5. უცხოეთში სტაჟირება

18-დან 35 წლის ასაკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ბოლო ერთი წლის მანძილზე რეგისტრირებულ საქართველოს საშუალოდ 8 მოქალაქე სტაჟირებას გაივლის ევროპის რომელიმე ქვეყანაში და აჭარის რეგიონში მიღებული იქნება საშუალოდ 8 უცხოელი სტაჟიორი.

7.8.6. პროფესიული განათლების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე განთავსებულ საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლება/სტაჟირების გავლა ან მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებში.

დაფინანსება ერთი კონფერენციის ორგანიზება.

7.9. სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა

სკოლისგარეშე სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა;

სახელოვნებო განათლების ხარისხის ამაღლება და კულტურისა და ხელოვნების სფეროს კვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველყოფა;

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და ამოქმედების ხელშეწყობა;

სახელოვნებო-საგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეების მხარდაჭერა სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის გზით.

7.10. სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა

ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექციებში, მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება.

8. კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

კულტურული ცხოვრების განვითარება და მოსახლეობის უზრუნველყოფა სხვადასხვა კულტურული აქტივობებით მნიშვნელოვანია საზოგადოების განვითარების და ცნობიერების ამაღლებისათვის, რაც თავის მხრივ განაპირობებს ძლიერი და განათლებული საზოგადოების ჩამოყალიბებას. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად „სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას“. საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ“ აკისრებს სახელმწიფოს ყოველმხრივ ხელი შეუწყოს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურის მონაპოვართა ხელმისაწვდომობას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა საყოველთაო აღიარებას, საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებასა და გაფართოებას, შემოქმედებით ინტეგრაციას.

აჭარის რეგიონი გამოირჩევა კულტურული რესურსების, ფესტივალებისა და სხვა კულტურული აქტივობების მრავალფეროვნებით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ფოლკლორის უნიკალური ნიმუშებით. სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია ხელი შეუწყოს რეგიონში ერთიანი კულტურის პოლიტიკის გატარებას, კულტურის განვითარებასა და პოპულარიზაციას, უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ფოლკლორის დაცვა-შენარჩუნებას.

8.1. კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა

კულტურული პროექტების მხარდაჭერა, ფესტივალებისა და ღონისძიებების ორგანიზება - ითვალისწინებს ფესტივალების, კონცერტების, წარმოდგენების, გამოფენების, სახელოვნებო პროექტებისა და კულტურის სხვა ღონისძიებების ორგანიზებას/ორგანიზების ხელშეწყობას, ასევე კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან შეხვედრას;

ახალი, ინდივიდუალური შემოქმედებითი პროექტების ხელშეწყობა - ითვალისწინებს თავისუფალი ხელოვანების ახალი იდეების, ინიციატივების და პროექტების მხარდაჭერას; სახვითი, გამოყენებითი, მულტიმედიური ხელოვნების ხელშეწყობას.

8.2. კულტურის ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული პროფესიული თეატრების ხელშეწყობა.

8.3. ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, მისი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა, მათ შორის შენარჩუნება და პოპულარიზაცია, უმთავრესად არაფორმალური განათლების მეშვეობით.

8.4. კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

აჭარის რეგიონში მოღვაწე კულტურის და ხელოვნების სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების, ევროპული გამოცდილების გაზიარებისა და შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა; ახალგაზრდა პოეტების/მწერლების მხარდაჭერა; აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობა და ამ მიმართულებით შემოქმედებითი პროცესების გააქტიურება; კულტურის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის ხელშეწყობა;

8.5. კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
ახალი სახელოვნებო სკოლის მშენებლობა ე.წ. განათლებისა და მეცნიერების ქალაქში.
ერთი კულტურის დაწესებულების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა;
ერთი კულტურის დაწესებულების ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვა;
ერთი კულტურის დაწესებულების სარეპეტიციო სივრცის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა და მშენებლობა (2024-2026 წწ;
ერთი კულტურის დაწესებულების შენობის რეკონსტრუქციის პროექტის შესყიდვა;
კულტურის დაწესებულებებისთვის მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა (2024-2025 წწ).

8.6. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია
სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელების გზით ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული კულტურული ძეგლების დაცვა და შენარჩუნება, ასევე არსებული მუზეუმების რეაბილიტაცია, პოპულარიზაცია და სამუზეუმო ქსელის გაფართოება.

8.7. მუზეუმებისა და გალერეების განვითარება

სამეცნიერო-კვლევითი, საექსპოზიციო და საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად;

მუზეუმებში ფართო საზოგადოების მოზიდვის ხელშეწყობა.

8.8. სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობა

სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობის მიზნით აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უზრუნველყოფს სასცენო, სამუსიკო და თეატრალური ხელოვნების სფეროში პოლიტიკის განხორციელებას, განვითარების ხელშეწყობასა და პოპულარიზაციას. ასევე სასცენო და სამუსიკო დაწესებულებების განვითარებას; აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი სასცენო და სამუსიკო დაწესებულებების გასტროლებს, უცხოური დასების აჭარაში მიღებას და სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

8.9. ლიტერატურული ცხოვრების განვითარების ხელშეწყობა

ქართული მწერლობისა და სალიტერატურო ცხოვრების განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა.

9. *სპორტის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია*

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე სპორტის სფეროში, კომპეტენციის ფარგლებში, ხორციელდება რეგიონში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა.

სპორტის განვითარება რეგიონში ნიშნავს, რომ სპორტში ჩართულ ახალგაზრდებს უჩნდებათ კონკრეტული სპორტის სახეობის მიმართ ინტერესი, რაც ახალგაზრდების ფიზიკური ჯანმრთელობის სრულყოფას, მათ პოპულარიზაციას, როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ დონეზე უწყობს ხელს.

9.1. სპორტის სფეროს მართვა
სპორტის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.

9.2. სპორტის ხელშეწყობა

ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, სპორტული მიღწევების გაუმჯობესება და ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებული გამოსვლა.

სპორტის სფეროში დაფინანსდება საერთაშორისო და ადგილობრივი რანგის ტურნირები, შეჯიბრებები, სასწავლო-საწვრთნო შეკრებები და საქართველოს ჩემპიონატებში ასაკობრივი აჭარის გუნდებისა და სპორტსმენების მონაწილეობა. წლის განმავლობაში, მიღწეული შედეგების მიხედვით, დაჯილდოვდება წარმატებული სპორტსმენები, მწვრთნელები, ფედერაციები, ჟურნალისტები და და ვეტერანი სპორტის მოღვაწეები.

სპორტის ცალკეულ სახეობებში მიღწეული წარმატებებისათვის სპორტსმენთა და მწვრთნელთა მატერიალური წახალისება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წამყვან სპორტსმენთა და მწვრთნელთა ცხოვრების ეკონომიური და სოციალური პირობების გაუმჯობესება, სპორტის სახეობების მიხედვით ნაკრები გუნდების წევრთა, მთავარ და პირად მწვრთნელთა შორის კონკურენციის გაზრდა.

საპენსიო ასაკის, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონების, პრიზიორების, სპორტის დამსახურებული მუშაკების, მოღვაწეებისა და მწვრთნელებისათვის ფინანსური დახმარება, არასაპენსიო ასაკის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელების ფინანსური მხარდაჭერა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გუნდური თამაშების: ხელბურთის, ფრენბურთის, წყალბურთის, ფეხბურთის, კალათბურთის, ინდორ ჰოკეის, რაგბის და ინდივიდუალური სახეობების: ბერძნულ რომაული ჭიდაობის, თავისუფალი ჭიდაობის, მშვილდოსნობის, ძიუდოს და ძალოსნობის შემდგომი პოპულარიზაცია და განვითარება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალგაზრდული, ჭაბუკთა და კადეტთა ნაკრები გუნდების მომზადება ეროვნულ

და საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეულად გამოსვლისათვის. აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა ოსტატობის ამაღლება.

სპორტის ცალკეულ სახეობებში მიღწეული წარმატებებისათვის სპორტსმენთა და მათ პირად მწვრთნელთა ყოველთვიური მატერიალური წახალისება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წამყვან სპორტსმენთა და მათ პირად მწვრთნელთა ცხოვრების ეკონომიური და სოციალური პირობების გაუმჯობესება, სპორტის სახეობების მიხედვით ნაკრები გუნდების წევრთა შორის და მწვრთნელთა შორის კონკურენციის გაზრდა.

სპორტის სფეროში დაფინანსდება მასობრივი ღონისძიებები, კერძოდ: ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის ტურნირები, ფესტივალები, ჩემპიონატები, პირველობები სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის სპორტსმენთა და მოყვარულთა შორის, ასევე ხელშეწყობა ექნება სასკოლო და საუნივერსიტეტო სპორტის განვითარებას, ჩატარდება სხვადასხვა სპორტული თამაშობები.

10. ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

ახალგაზრდობა წარმოადგენს იმ მთავარ რესურსს, რომელზეც არის დამოკიდებული ქვეყნის მომავალი, მდგრადი დემოკრატიული განვითარება და ეკონომიკური პროგრესი, აქედან გამომდინარე, ახალგაზრდობის სფეროს სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და გაძლიერება, ახალგაზრდების მაქსიმალური გააქტიურება, ხელმისაწვდომი, ასაკზე და უნარებზე მორგებული სხვადასხვა სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური ღონისძიებების განხორციელება, მუდმივი საჭიროებების გამოვლენა და მათზე მუშაობა, მნიშვნელოვან პრიორიტეტებს წარმოადგენს რეგიონის განვითარების სამომავლო ხედვაში.

10.1. სსიპ - ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი

ახალგაზრდული სფეროს გაძლიერებისთვის ხორციელდება საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ახალგაზრდების ჩართულობა, მოხალისეობრივი საქმიანობის პოპულარიზაცია, ახალგაზრდების კარიერული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შესაბამისი პროგრამების შემუშავება, აჭარის რეგიონის ახალგაზრდების ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობების გამოვლენა და გაღრმავება, თავისუფალი დროის სწორად მართვისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა, ახალგაზრდობის შრომითი საქმიანობის ხელშეწყობის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებისათვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვისა და გააქტიურებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა; საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და კავშირების დამყარების მიზნით შესაბამისი პროგრამების შემუშავება, ახალგაზრდობის საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი; ახალგაზრდობის სფეროში საინვესტიციო და საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა; სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე დაყრდნობით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, პიროვნული, პროფესიული და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; ახალგაზრდებში პატრიოტული ღირებულებების გაღრმავება, გარემოს დაცვის, სამოქალაქო ფასეულობების პოპულარიზაცია; განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენისა და განვითარების ხელშეწყობა; ახალგაზრდებში აქტიური მოქალაქეობის, სოლიდარობის, ტოლერანტობისა და ეროვნული ღირებულებების პოპულარიზაცია.

10.2. ახალგაზრდების ინტელექტუალური, კულტურული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა

მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა და მათ შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა, ქვეყნის რეკრეაციული ლოკაციების გაცნობა/პოპულარიზაცია, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, ახალგაზრდებისთვის თავისუფალი დროის სწორად მართვის ხელშეწყობა, გართობისა და დასვენებისთვის არაფორმალური გარემოს შექმნა, აქტიური ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

11. საარქივო ფონდის დაცულობის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საარქივო ფონდის განვითარება, აღწერა, ცენტრალიზებული წესით აღრიცხვა, დაცვა და გამოყენება. დაზიანებული დოკუმენტების რესტავრაცია, დოკუმენტების მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავება, განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტებზე სადაზღვევო და ელექტრონული საარქივო ფონდის შექმნა.

11.1. საარქივო ფონდის დაცვა, შენახვა, გაუმჯობესება

საარქივო მასალების სტანდარტების შესაბამისი დაცვა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საარქივო ფონდის განვითარება, აღწერა, ცენტრალიზებული წესით აღრიცხვა, სტანდარტების შესაბამისი დაცვა და გამოყენება. დაზიანებული დოკუმენტების რესტავრაცია, დოკუმენტების მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავება, განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტებზე სადაზღვევო და ელექტრონული საარქივო ფონდის შექმნა, არქივში დაცული დოკუმენტების საფუძველზე იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე მომსახურება. ისტორიულად ღირებული საარქივო დოკუმენტების გამოფენის მოწყობა. ურთიერთთანამშრომლობა საზღვარგარეთის არქივებთან და საქართველოს შესახებ არსებული დოკუმენტების შემოტანა. ისტორიის ამსახველი მასალების გამოვლენა ჟურნალისა და ბუკლეტების გამოსაცემად. სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა.

11.1.1. საარქივო დოკუმენტების ელექტრონული არქივის შექმნა

საარქივო დოკუმენტების (ქაღალდის ფუძიანი) ციფრული ვერსიის შექმნა, დასკანერებული ფაილების ტექნიკური დამუშავება, ტექნიკური რევიზია, ანოტირება, ელექტრონული ფაილების თავმოყრა სპეციალურ პროგრამაში „საარქივო დოკუმენტების ელექტრონული რეესტრი“.

მიწის სისტემური რეგისტრაციის პროექტის ფარგლებში, საარქივო სამმართველოსა და მის ტერიტორიულ ორგანოებში დაცულ საკომლო წიგნებში არსებული მონაცემების სპეციალურ პროგრამაში (საკომლო წიგნების პროგრამა მიწის სისტემური რეგისტრაციისათვის) შეყვანა, ფაილების მიტვირთვა და შეყვანილი ინფორმაციის დამუშავება, საკომლო წიგნების სკანირება.

12. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

ქვეყნის მასშტაბით სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ხორციელდება მთელი რიგი სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამები, რომლითაც დაცულია ადამიანების უფლება ამ სფეროში. მიუხედავად ამისა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის ხელმიუწვდომელი რჩება ზოგიერთი ფასიანი სამედიცინო მომსახურება, შედეგად იზრდება მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკები, დაავადების გართულებების ალბათობა, მცირდება მკურნალობის ეფექტურობის მაჩვენებელი.

სამინისტროს 2024-2027 წლების პრიორიტეტი თავისი შინაარსითა და მოცულობით ძირითადად ორიენტირებული იქნება სოციალურად დაუცველ და სხვა სოციალური კატეგორიის ფენებსა და დაავადების მაღალი რისკის ჯგუფებზე, სხვადასხვა სოციალურად დაუცველი კატეგორიის ადამიანებისათვის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვაზე, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით, ამბულატორიულ, მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ კვლევაზე, სახსრების ენდოპროტეზირების, მოსახლეობის საზღვარგარეთ მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვაზე, ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურების, გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურების, ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების, უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის და მოზრდილი მოსახლეობის რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ ფინანსური რისკებისგან დაცვაზე, სოფლის მოსახლეობისათვის უწყვეტი სამედიცინო დახმარების მიწოდებაზე.

ეპიდდაძაბული სიტუაციის დროს გადამდებ დაავადებათა გავრცელებისაგან რისკ ჯგუფების დაცვის უზრუნველყოფა და დაავადებული მოსახლეობისათვის აუცილებელი სამედიცინო მომსახურების მიწოდება.

12.1. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, დასაქმების, დევნილთა და განსახლების სფეროში საქართველოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დარგში პრიორიტეტულ ღონისძიებათა შემუშავება;

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა, მომსახურების ეფექტიანობის ამაღლება და დასაქმების ხელშეწყობა;

12.2. სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების, მათ შორის სოციალურად დაუცველი კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც ვერ იფარება სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული სამედიცინო პროგრამებით.

12.2.1. მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება

სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც არ ფინანსდება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით.

12.2.2. გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურება

მოსახლეობის დამატებითი კარდიოქირურგიული მომსახურეობის (სამედიცინო მომსახურება, რომელიც არ ფინანსირდება სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით) დაფინანსება. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული კარდიოქირურგიული ოპერაციების თანაგადახდისა და გეგმიური გულის დაავადებების ძვირადღირებული სადიაგნოსტიკო კვლევების დაფინანსება.

12.2.3. სახსრების ენდოპროთეზირება

მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური კატეგორიისათვის სახსრების ენდოპროთეზირების (გადაგვარებული ან დაზიანებული სახსრის ჩანაცვლება ხელოვნური იმპლანტით) ჩატარებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

12.2.4. ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა
სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ კვლევებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

12.2.5. ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება
ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთათვის დამატებით სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობა.

12.2.6. ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება
ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეებისათვის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის გეგმიური და გადაუდებელი ქირურგიული სამედიცინო მომსახურების და ინტენსიური თერაპიის თანაგადახდის დაფარვა DRG მეთოდით განსაზღვრული საბაზისო ღირებულების ფარგლებში.

12.2.7. მოზრდილი მოსახლეობის სამედიცინო რეაბილიტაცია

მოზრდილი მოსახლეობის (18 წლის ზემოთ) ნებისმიერი ორგანული სისტემის დაავადებით ან დაზიანებით განპირობებული უუნარობის ფუნქციის აღდგენა და შესაბამისად ცხოვრების ხარისხის ამაღლება.

12.2.8. მოსახლეობის საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის დაცვა საზღვარგარეთ მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან. პაციენტების საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსება განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ პაციენტისათვის აუცილებელი სამედიცინო მომსახურება ვერ ხერხდება საქართველოს სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში. რაც დასტურდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ექსპერტების მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე ან/და ნაწილობრივ იქნება დაფინანსებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამით „მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში“.

12.2.9. უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა
დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გზით უშვილო წყვილებისათვის სამედიცინო სერვისების (მათ შორის საშვილოსნოს შიდა ინსემინაცია და ინ ვიტრო განაყოფიერება საკუთარი ბიოლოგიური მასალით) დაფინანსება.

12.3. პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა
სოფლის მოსახლეობისათვის უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა.

12.3.1. სოფლის სამედიცინო პერსონალის სოციალური უზრუნველყოფა
სამედიცინო პერსონალის სოფლებში დამაგრება და მათი სოციალურ-ეკონომიური პირობების გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტების სოფლის მოსახლეობისათვის ბაზისური, უწყვეტი სამედიცინო მომსახურების მიწოდებისათვის სოფლის ექიმებისა და ექთნების სოციალური დახმარება - მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო), ხელვაჩაურის და ქობულეთის სოფლის ექიმებისათვის – 400 ლარი, სოფლის ექთნებისათვის - 250 ლარი;

12.3.2. ჟანგბადის კონცენტრატორებით უზრუნველყოფა
ჟანგბადდამოკიდებული პირებისათვის ამბულატორიულ პირობებში ოქსიგენოთერაპიის დროული და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობისა და ოჯახის/სოფლის ექიმების ტექნიკური მხარდაჭერის მიზნით ჟანგბადის კონცენტრატორების გადაცემა.

12.4. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა

რეგიონში ეპიდემიოლოგიურად კეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფა, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და გაუმჯობესება გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებისადმი მზადყოფნისა და დროული რეაგირების

გზით; ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, მოსახლეობის ცნობიერების დონის გაზრდა და ჩართულობა;

დაავადებათა ადრეული გამოვლენა და დიაგნოსტიკა, არაგადამდებ დაავადებებთან დაკავშირებული ავადობითა და უნარშეზღუდულობით გამოწვეული მართვადი ტვირთის შემცირება, სამედიცინო დიაგნოსტიკურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მუნიციპალურ დონეზე.

13. მოსახლეობის სოციალური დაცვა

ქვეყანაში მოქმედებს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (მათ შორის ბავშვთა), ხანდაზმულთა, ოჯახურ მზუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია.
სამინისტრო გამოყოფს მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიებს, რომელთა სომატურ/ფსიქიკური ჯანმრთელობა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან დამატებით მხარდაჭრას, უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას, მათთვის თანაბარი შესაძლებლობების პირობების შექმნას.
სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახების უსაფრთხო საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

13.1. სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია

18 წლამდე ასაკის ბავშვთა სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებების განხორციელება.

ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაცია - ბავშვთა ცერებრალური დამბლის, ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის, კუნთების სხვადასხვა დაავადებების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება.

ძვალ-სახსროვანი სისტემის დეფორმაციის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია - ძვალ-სახსროვანი სისტემის სხვადასხვა დეფორმაციის მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება.

ბავშვთა ადრეული განვითარება - განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა.

აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია - აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე 2-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება.

სმენაპროთეზირებულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაცია - სხვადასხვა ხარისხის სმენადაქვეითებული სმენაპროთეზირებული (კოხლეარული იმპლანტი, სმენის აპარატი) ბავშვების უზრუნველყოფა მათ საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო მომსახურების კურსებით.

13.2. მოსახლების გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება

მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების ერთჯერადი მატერიალური დახმარება.

100 წელს გადაცილებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება - 100 წელს გადაცილებული მოქალაქეებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების (1 500 ლარი) გაცემა.

ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება - ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა იმ ოჯახებზე, სადაც დაიბადება ტყუპი - ტყუპისცალზე გაიცემა დახმარება 1 500 ლარის ოდენობით.

2008 წლის რუსული აგრესიისა და ავღანეთის სამშვიდობო მისიის (2007-2021წწ) დროს დაღუპული და დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მეომართა ოჯახების დახმარება - მატერიალური დახმარება გაეწევა საომარი მოქმედებების დროს დაღუპული/დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მეომრების ოჯახებს: დედისა და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება გაეწევა დედებსა და მეუღლეებს თითოეულს 5 000 ლარის ოდენობით. აგვისტოს თვეში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევა მეომრების ოჯახებს - თითოეულს 10 000 ლარის ოდენობით.

მზრუნველობამოკლებულ პირთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა - მზრუნველობამოკლებულ (სახელმწიფო მზრუნველობის შეწყვეტის შემდეგ) პირთა მატერიალური მხარდაჭერა, დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების ხელშეწყობა, საზოგადოებაში სრული რეინტეგრაცია, რისთვისაც გათვალისწინებულია თითოეულ ბენეფიციარზე 15 ლარი დღეში, ხოლო შშმ სტატუსის მქონე ბენეფიციართათვის - 30 ლარი.

შშმ სტატუსის მქონე მშობელთა და ორსულთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება - ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 2 000 ლარის ოდენობით ერთ წლამდე ასაკის ბავშვის შშმ სტატუსის მქონე მშობელთა და შშმ სტატუსის მქონე ორსულ ქალებზე (22 კვირისა და მეტი ვადის ორსულობა).

სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური დახმარება - სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური და მორალური მხარდაჭერაისათვის ყოველთვიური 200 ლარიანი დახმარება გაეწევა ოჯახს, რომლის შემადგენლობაში არის 16 წლამდე ასაკის ერთი წევრი მაინც და სარეიტინგო ქულაა 120 0001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 150 001 ქულაზე.

13.3. შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა, მოზრდილთა და ხანდაზმულ პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირებზე სავარძელ-ეტლების გაცემა, მორგება, გამოყენებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევა, საგარანტიო მომსახურება.

სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა - სმენადაქვეითებულ პირებზე სმენის აპარატების გაცემა, მორგება, გამოყენებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევა, საგარანტიო მომსახურება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა სხვა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა - სხვადასხვა დამხმარე/მოვლის საშუალებათა საჭიროების მქონე პირთა, მათ შორის ხანგრძლივად მოავადე, იძულებითი წოლითი რეჟიმის (ნევროლოგიური, ონკოლოგიური და სხვა პროფილის დაავადებები) პაციენტების მოვლისა და რეაბილიტაციის საშუალებებით უზრუნველყოფა.

13.4. მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა

დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა - სხვადასხვა პრობლემების მქონე (მარტოხელა, მიუსაფარი, ძალადობაგანცდილი) დედათა და ბავშვთა თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, მათი ფსიქოლოგიური დახმარება, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება;

ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით უზრუნველყოფა - ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, მათი და ოჯახის წევრების ფსიქოლოგიური დახმარება.

ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფა - ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირთა უზრუნველყოფა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსებით დაკომპლექტებული საცხოვრისით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით, მათი ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, სოციალური მხარდაჭერა და თემში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

13.5. ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა

სახელმწიფოს მიერ ყოველწლიურად ხორციელდება ასობით ეკომიგრანტი ოჯახის უსაფრთხო გარემოში გადაყვანა და მათი საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილება. თუმცა, სტიქიური მოვლენების ზრდისა და უკონტროლო განვითარების ფონზე, შეუძლებელია ზარალის წინასწარი პროგნოზირება. აღნიშნული პროცესების შედეგად, „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებულ (ეკომიგრანტების) ოჯახების ერთიან ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში“ სისტემატურად ხდება ახლად დაზარალებულთა განაცხადების შევსება. მიმდინარე ეტაპზე 800-მდე განაცხადია განსახილველი და პროცესი უწყვეტ რეჟიმში გრძელდება. შესაბამისად, ამ მიმართულებით შეუძლებელია გვქონდეს მყარი სტატისტიკა. სფეროში არსებული სირთულეების მიუხედავად, სახელმწიფო მის ხელთ არსებული რესურსების ფარგლებში, სხვადასხვა ღონისძიებებითა და პროექტებით, უზრუნველყოფს სტიქიით დაზარალებული ოჯახების უსაფრთხო საცხოვრისით დაკმაყოფილებას. წარმოდგენილი პროგრამის მიზანი არის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში სტიქიით დაზარალებული და ადგილმონაცვლეობას დაქვემდებარებული ოჯახის ფინანსური მხარდაჭერა, საცხოვრებელი ფართის შესყიდვის ან ბენეფიციარის საკუთრებაში არსებულ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მიწის ნაკვეთზე

შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე, საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით.

13.6. სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა
ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში ე.წ „ოცნების ქალაქი"-ს ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით.

14. დასაქმების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უმუშევრობა ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა და აქტიური გამოწვევაა. არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის უმუშევრობასთან ბრძოლის კონცეფციის, დასაქმების სისტემისა და მექანიზმების განვითარების ხელშეწყობას. შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა, კერძოდ დასაქმების სახელმწიფო სამსახური, რომელიც წარმოადგენს არა მხოლოდ დასაქმების ხელშეწყობის ეფექტიან ინსტიტუტს (უზრუნველყოფს რა დამსაქმებელსა და სამუშაოს მაძიებელის ოპერატიულ კავშირს, ვაკანსიის შესაბამისი კადრის შერჩევასა და დამსაქმებლისათვის შეთავაზებას, არამედ ქმნის ინფორმაციულ ბაზას სამუშაოს მაძიებლისა (მათ შორის უმუშევრების) და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესახებ, საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების შეთავაზებით ხელს უწყობს სამუშაოს მაძიებელთა პროფესიულ ორიენტაციას საკუთარი შესაძლებლობებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული სწავლების მხარდაჭერით უზრუნველყოფს სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის შემცირებას. ეს ყოველივე დადებითად აისახება რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარებაზე.

14.1.დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა

დასაქმების ხელშეწყობის მართვის ეფექტიანი უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია სააგენტოს პოპულარიზაციის ხარისხის ამაღლება, რათა სააგენტოს ეფექტიანი და ხელმისაწვდომი მომსახურეობის ინფორმირებულობის ხარისხი გაიზარდოს და აჭარის მოსახლეობისა და დაინტერესებული მხარეების უმრავლესობა მოიცვას.

14.1.1. დასაქმების ხელშეწყობის მართვა

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დასაქმების სისტემისა და მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა.

14.1.2. სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაცია

სააგენტოს საქმიანობისა და სერვისების შესახებ ინფორმირებულობა სხვადასხვა აქტივობებისა და მეთოდების გამოყენებით და პერსონალური თანამშრომლობის გზით დამსაქმებელსა და სამუშაოს მაძიებლებთან კომუნიკაციის გააქტიურება შრომითი კონსულტანტების მეშვეობით.

14.1.3. დასაქმების ხელშეწყობა პროფესიული მომზადება/გადამზადების გზით

საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა/ამაღლება, მათი შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

14.1.4. შშმ პირთა პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების ხელშეწყობა

შშმ პირების პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა/ამაღლება, მათთვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო მოდულის შეთავაზებით.

14.1.5. სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა

სწავლის პარალელურად სტუდენტების დასაქმების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებით სტუდენტებში შრომითი უნარების განვითარება და დასაქმების მაჩვენებლის ზრდა.

14.1.6. კვალიფიკაციის ამაღლება არაფორმალური განათლების გზით

აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მოქმედ ორგანიზაციებში დასაქმებულთა პროფესიული უნარების ზრდა და კვალიფიკაციის ამაღლება მათი სამუშაოზე მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

14.1.7. საზღვაო სფეროში დასაქმების ხელშეწყობა

საზღვაო შრომის ბაზარზე ქართული სამუშაო ძალისათვის დასაქმების შესაძლებლობების შექმნა.

14.1.8. დასაქმების ხელშეწყობა ციფრული უნარების განვითარების გზით

ინფორმაციულ ტექნოლოგიურ სფეროში დასაქმება-თვითდასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარება.

14.1.9. დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა

დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა სამუშაო იარაღებით უზრუნველოფის გზით.

15. სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება

სოფლის მეურნეობა და მისი შემდგომი განვითარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტული სფეროა და წარმოადგენს სოფლად დასახლებული მოსახლეობის შემოსავლების ერთ–ერთ ძირითად წყაროს. ამასთან, მისი ძირითადი ფუნქციაა რეგიონში სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა და სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც დამოკიდებულია ადგილობრივი პროდუქციის წარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდაზე, თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვაზე, ნიადაგის პროდუქტიულობის ამაღლებაზე, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და აგრარულ სექტორში დასაქმებულების ცოდნის გაფართოებაზე.

რეგიონის სოფლის მეურნეობის უმთავრეს სექტორებს წარმოადგენს: მეციტრუსეობა, მეხილეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა და სხვა. რეგიონში მცირე მიწიანობასთან ერთად დაბალია სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის წარმოების მაჩვენებელი, რაც განპირობებულია დაბალი აგროტექნიკური ფონით, ამორტიზირებული ნარგავებითა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის დაბალი ტემპით. იმისათვის, რომ განხორციელდეს

აგროსასურსათო სექტორში პროდუქციის წარმოების ზრდა და საექსპორტო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა, აუცილებელია სასურსათო უსაფრთხოებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა, დარგში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა, პროგრამული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რაც სოფლად მცხოვრები მოსახლეობისა და სოფლად მოქმედ საწარმოთა შემოსავლებზე დადებითად აისახება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2024–2027 წლების პრიორიტეტი თავისი შინაარსითა და მოცულობით ორიენტირებულია სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე და შესაბამისობაშია „აჭარის არ სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგიასთან“.

15.1. აგროსასურსათო სექტორის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა

რეგიონის აგროსამრეწველო და სასურსათო სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა და მის პრაქტიკულ განხორციელებაში სამინისტროს აპარატის მოქნილი, მაღალეფექტური და კოორდინირებული მართვის სისტემის უზრუნველყოფა;

15.2. აგროსექტორის მდგრადი განვითარება

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა მიერ ხარისხიანი პროდუქციის წარმოებისა და მიწოდების მასშტაბების ზრდა, რაც ხელს შეუწყობს პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე;

აგროსასურსათო სექტორის შესაძლებლობებისა (საწარმოო, საექსპორტო და საინვესტიციო) და საჭიროებების (დარგობრივი და ინსტიტუციური) შესახებ ცნობადობის ზრდის ხელშეწყობა;

სოფლის მეურნეობაში საინვესტიციო შესაძლებლობების ზრდისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობა გამოფენ(ებ)ის, ფორუმ(ებ)ის, ფესტივალ(ებ)ისა და კონფერენცი(ებ)ის ორგანიზების უზრუნველყოფის გზით.

15.2.1. ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია

რეგიონში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პოპულარიზაცია, საექსპორტო და საინვესტიციო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა.

15.2.2. აგრარული ექსტენციის მიწოდება

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საქმიანობის ეფექტურობისა და მდგრადობის ამაღლების მიზნით ექსტენციის სერვისის მიწოდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჩართულობით.

15.3. აგროსერვისის განვითარება რეგიონში

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“-ს მაღალეფექტური და კოორდინირებული მართვის სისტემის უზრუნველყოფა, ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება.

სოფლისა და სოფლის მეურნეობის სერვისების განვითარების ხელშეწყობა. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სანერგე, საჩითილე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა. აჭარის

ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრებ მიწათმოსარგებლეთა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის უზრუნველყოფისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების დამუშავების მიზნით სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა. მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობა, მესაქონლეობაში ჯიშთგანახლებისა და პროდუქტიულობის ზრდის გაუმჯობესების უზრუნველყოფა.

15.3.1. ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ორგანიზაციული უზრუნველყოფა და მართვა

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"-ს ადმინისტრაციული აპარატის მოქნილი, მაღალეფექტური მართვის სისტემის უზრუნველყოფა; ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის" ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება.

15.3.2. ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგისა და ჩითილის წარმოება

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამეცნიერო პრაქტიკულ რეკომენდაციებზე დაფუძნებული სანერგე და სადედე-სადემონსტრაციო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა;

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"-ს სადედე-სადემონსტრაციო სანერგე მეურნეობების მოვლა და სტანდარტული სარგავი მასალის წარმოება;

სათბურ-იზოლატორში უვირუსო სარგავი მასალის წარმოების მიზნით სადედე მცენარეების მოვლა პატრონობა.

აგრარული მიმართულების სტუდენტ(ებ)ისა და კურსდამთავრებულ(ებ)ის პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის დონის ამაღლების ხელშეწყობა.

15.3.3. აგრო-მომსახურების განვითარების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები მოსახლეობის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უსასყიდლოდ დამუშავება.

15.3.4. მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა

მეფუტკრეობის დარგის განვითარება, მეფუტკრეების თანამედროვე ტიპის სკებით უზრუნველყოფა.

15.4. ლაბორატორიული კვლევითი საქმიანობის მდგრადი განვითარების მხარდაჭერა

ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერება და სურსათის უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და ფიტოსანიტარიული კონტროლის მიზნებისათვის საერთაშორისო/ რეგიონული სტანდარტებთან და ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისი დანადგარების შეძენა და აკრედიტაცია, საერთაშორისო ლაბორატორიათაშორის კვლევებში მონაწილეობა, აკრედიტაციის სფეროების ოპტიმიზაცია; სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების მიზნით ლაბორატორიული მომსახურების სფეროში მიღწეული სერვისების ეფექტიანობის ზრდა;

შესაბამისი მიზნობრივი ჯგუფებისთვის ექსტენციის (ნიადაგი, სარწყავი და სასმელი წყალი, ჰაერი და მცენარეები) სერვისის მხარდაჭერა კვლევების მოქნილი მომსახურების მიწოდების გზით; კვალიფიციური კადრების შენარჩუნების, მოზიდვის, სწავლება/გადამზადებისა და სტაჟირების მხარდაჭერა.

15.5. მეციტრუსეობის განვითარების ხელშეწყობა

რეგიონის მეციტრუსე ფერმერების მხარდაჭერა და ციტრუსის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა.

15.5.1. ციტრუსის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობა

რეგიონის მეციტრუსე ფერმერთა ხელშეწყობა სამრეწველო მანდარინის რეალიზაციის მიმართულებით და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების სტიმულირება.

15.6. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლების ხელშეწყობა

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლება.

15.7. სამელიორაციო სისტემების მართვა

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარება, სარწყავი და სადრენაჟე სისტემების რეკონსტრუქცია.

15.8. ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე ხორცისა და ხორც-პროდუქტების წარმოების ხელშეწყობის პროგრამა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის ხორცისა და ხორც-პროდუქტების წარმოების ხელშეწყობა.

15.9. სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა

სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების, საოჯახო მეურნეობებისა და მეწარმე სუბიექტების ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარების ხელშეწყობა.

16. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა

ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი (უსაფრთხო) გარემოს შენარჩუნება და გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა;

ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივ გარემოსათვის ატმოსფერული ჰაერის უსაფრთხო მდგომარეობის მიღწევა, შენარჩუნება და გაუმჯობესება;

წყლის მავნე ზემოქმედების აცილება, წყლის ობიექტების დაცვა და წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით;

ნარჩენების მართვის სრულყოფასთან დაკავშირებით, დაბინძურებული კერების გამოვლინება, აღრიცხვა და სათანადო რეკომენდაციების მომზადება;

თვითმყოფადი ბუნებრივი და კულტურული გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტების, მათ შორის, მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს, ბიომრავალფეროვნების, ლანდშაფტის, ტყეში არსებული მცენარეთა იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება და დაცვა;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საშიში (სტიქიური) გეოლოგიური პროცესების შესწავლა, საშიში გეოლოგიური მოვლენების პროგნოზირება და საინფორმაციო-საცნობარო მონაცემთა ბაზის შექმნა.

დაზიანებული სანაპირო ზოლის აღდგენა.

16.1. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ორგანიზაციული მართვა

მდგრადი გარემოს დაცვითი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება; გარემოს ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი; საშიში (სტიქიური) გეოლოგიური პროცესების შესწავლა, პროგნოზირება და საინფორმაციო-საცნობარო მონაცემთა ბაზის შექმნა; საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება, გარემოს დაცვის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

16.2. გარემოსდაცვითი პროგრამა

გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის გაუმჯობესება.

16.2.1. ატმოსფერული ჰაერის, ჩამდინარე და ზედაპირული წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიზე ატმოსფერული ჰაერისა და წყლებზე ფაქტობრივი ზემოქმედების მონიტორინგი.

ატმოსფერული ჰაერის, ჩამდინარე და ზედაპირული წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა, მავნე ნივთიერებათა ჩაშვების მინიმიზაცია. მონიტორინგის განხორციელების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე დროული რეაგირების მიზნით, შეგროვებული მასალების შესაბამის ორგანოებზე გადაცემა.

16.3. პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოები

შავი ზღვის ქ. ბათუმის სანაპირო ზოლის შენარჩუნება.

16.4. ბათუმის კონცხის წყალქვეშა ფერდის განტვირთვის სამუშაოები

ბათუმის კონცხის წყალქვეშა ფერდის განტვირთვა ჭარბი აკუმულირებული მასალისგან.

17. ტყის მდგრადი მართვა

ტყეში არსებული მცენარეთა იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების შენარჩუნება და დაცვა; ტყის მართვა ტყის რესურსების ანალიზისა და გარემოსდაცვითი რისკების გათვალისწინებით, ტყის მოვლის ეფექტური სისტემის დანერგვა; ტყის რესურსებით სარგებლობის და მართვის ეფექტური სერვისების დანერგვა; ტყის დეგრადაციის პროცესის

შეჩერება და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება; ტყითსარგებლობის წესების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება; ახალი ფუნქციონალური დატვირთვის შესაბამისად ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის განვითარება.

17.1. ტყის დაცვა და მოვლა

ტყის ბუნებრივი და ანთროპოგენული ზემოქმედებისაგან დაცვა, ტყის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

17.1.1. დეგრადირებული ტყეების აღდგენა-განახლება და ტყის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა

ტყის დეგრადირებული ფართობების შერჩევა, შემოღობვა და აჩიჩქვნა. ფიტო და ენტო მავნებლების კერების დროული გამოვლენა და მათ წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, რისკების იდენტიფიცირება, დაავადებებზე რეაგირების ზომების იდენტიფიცირება.

17.1.2. სანიტარული ჭრა

მავნებლებით დაავადებულ ნაძვნარებში სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება;

17.2. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

ტყის რესურსებით სარგებლობისა და სატყეო სექტორის მართვის საკითხებთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.

17.2.1. სატყეო სექტორში ცნობიერების ამაღლება

სტუდენტების, მოსწავლეებისა და მოსახლეობის ჩართვა სააგენტოს მიერ წარმართულ ტყის მოვლა-პატრონობის აქციებსა და ინიციატივებში, საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება, ცნობიერების ამაღლებისათვის სატელევიზიო ვიდეო რგოლის მომზადება. სტუდენტების და კურსდამთავრებულების სტაჟირება.

17.3. ორგანიზაციული მართვა და ინფრასტრუქტურული პროექტები

ორგანიზაციის მიერ დებულებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელება.

ეფექტიანი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა.

17.3.1. ორგანიზაციული მართვა

სატყეო სააგენტოს ადმინისტრირება და მიმდინარე მართვა.

17.3.2 სატყეო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გამართვა

სატყეო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება.

წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის სათავე ნაგებობის მშენებლობის და ფუნქციონირების ხელშეწყობა.